

ცენტრალური ზონისთვის ატმოსფერული
ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025
წლების გეგმის
2024 წლის მონიტორინგის ანგარიში

სარჩევი

მოკლე შეჯამება.....	3
შესავალი	5
ზოგადი პროგრესი.....	7
დეტალური პროგრესი 1.1 ამოცანასთან დაკავშირებით	13
დეტალური პროგრესი 1.2 ამოცანასთან დაკავშირებით	17
დეტალური პროგრესი 1.3 ამოცანასთან დაკავშირებით	19
დეტალური პროგრესი 1.4 ამოცანასთან დაკავშირებით	21
გამოწვევები და რეკომენდაციები.....	23
კონსოლიდირებული სტატუსანგარიში	25

მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს N1431 განკარგულებით დამტკიცებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმა ცენტრალური ზონისთვის წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს. გეგმა მიზნად ისახავს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და მართვის ცენტრალურ ზონაში, რომელიც მოიცავს ქვემო და შიდა ქართლის რეგიონსა და მცხეთის მუნიციპალიტეტს, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციას 2024 წლის 1 იანვრიდან - 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს. ანგარიშის პროექტი განხილული და შეთანხმებულ იქნა ცენტრალური ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

ცენტრალურ ზონაში განთავსებული იყო ჰაერის ხარისხის მონიტორინგის 2 ავტომატური სადგური. ძველ რუსთავში განთავსებულ სადგურზე PM10-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 43 მკგ/მ³, ხოლო PM2.5-ისამ - 24 მკგ/მ³. აღნიშნული მაჩვენებლები აჭარბებს PM10-ის ზღვრულად დასაშვებ ნორმას 7%-ით, ხოლო PM2.5-ის ნორმას - 20%-ით, თუმცა წარმოადგენს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას 2022 წლის, საბაზისო მონაცემებთან (PM10 - 55 მკგ/მ³, PM2.5 - 27 მკგ/მ³) შედარებით. PM10-ის კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვებ ნორმას ასევე აჭარბებს 3%-ით ახალ რუსთავში განთავსებულ სადგურზე, ამასთან ამ სადგურზე PM2.5 ნორმის ფარგლებშია. აღნიშნული შედეგი დიდწილად გამოწვეულია მსხვილი სამრეწველო ობიექტების მხრიდან დაწესებული საკანონმდებლო რეგულაციების უკეთესი აღსრულებით.


აღსანიშნავია, რომ ცენტრალურ ზონაში NO₂-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ 2024 წელს კვლავც გადააჭარბა ნორმას მონიტორინგის ოთხ პუნქტზე, ქ. რუსთავში, ქ. მარნეულსა და ქ. ხაშურში. დაფიქსირებული SO₂-ის, CO-ს და O₃-ის, საშუალო კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმას, ხოლო მძიმე მეტალებისა და ბენზ(ა)პირენის კონცენტრაციის დადგენის მიზნით ხორციელდება მიღებული სინჯების ანალიზი.

ცენტრალურ ზონაში მდებარე სტაციონარული წყაროებიდან მყარი ნაწილაკების გაფრქვევები საბაზისო წელთან შედარებით დაახლოებით 50%-ით შემცირდა, რაც ძირითადად წარმოადგენს ადგილზე არსებული სამრეწველო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების უკეთ აღსრულებისა და გაუმჯობესებული ზედამხედველობის შედეგია. ბოლო, 2023 წლის მონაცემებით საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით ტრანსპორტის სექტორიდან აზოტის დიოქსიდის გაფრქვევები შემცირებულია 5%-ით 1 ერთეულ ავტომობილზე გადათვლით, თუმცა გაზრდილი სატრანსპორტო მობილობიდან გამომდინარე აღნიშნული მაჩვენებელი გაუარესებულია 2022 წელთან შედარებით. საანგარიშო წელს ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესების კუთხით მდგომარეობა უცვლელია. ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით აღსანიშნავია, რომ 2023-2024 წლებში ჩატარებულ გარემოსდაცვით

ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 1076-მა მონაწილემ, რაც 2-ჯერ აჭარბებს სამიზნე მაჩვენებელს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა სამოქმედო გეგმის აქტივობათა 22% (6 აქტივობა), მეტწილად შესრულდა აქტივობების 30% (8 აქტივობა), ხოლო ნაწილობრივ შესრულდა - 37% (10 აქტივობა). არ დაწყებულა 3 აქტივობის განხორციელება. საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების პროგრესმა შეადგინა 56%.

გეგმის აქტივობების განხორციელების დონე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



ამოცანების ჭრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება 1.4 ამოცანაში, ხოლო პასუხისმგებელი უწყებების ჭრილში მნიშვნელოვანი წინსვლა აქვთ მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებს შორის აღსანიშნავია ცენტრალურ ზონაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, განხორციელდა 266 საწარმოს 346 ინსპექტირება. ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით, შემუშავდა სამართლებრივი აქტის პროექტი. ქ. რუსთავში განახლდა ქუჩების სველი წესით დამუშავება რეგულარულად 20-30 კმ-ზე. ინფრასტრუქტურული აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ 2024 წელს მოეწყო 29 რეკრეაციული ზონა, რეაბილიტირდა 118 ათას მ²-მდე გზის საფარი და 21 ათას მ²-ზე მეტი ტროტუარი, მოეწყო ველობილიკები 6 ათას მ²-ზე მეტ ფართობზე. საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლის დანერგვის მიზნით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და აღებულ იქნა საწვავის სინჯები 3 ავტოგასამართ სადგურზე.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო ევროკავშირის პროექტი რომლის ფარგლებშიც გაფართოვდება ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი. ცენტრალური ზონიდან გარემოსდაცვით თემატიკაზე გადამზადდა 149 პედაგოგი და 268 აღმზრდელი/მეთოდისტი.

სამრეწველო სექტორიდან მყარი ნაწილაკებით დაბინძურების პრევენციისთვის საჭიროა აქტიური საზედამხედველო საქმიანობის გაგრძელება. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე დაბინძურების სხვა წყაროებს. ცენტრალური ზონაში ჰაერის აზოტის დიოქსიდის დაბინძურების შესამცირებლად გეგმაში არსებული აქტივობების განხორციელებასთან ერთად აუცილებელია დამატებით აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება ეროვნულ დონეზე. ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია დამატებითი, მათ შორის დონორული დაფინანსების მობილიზება.

შესავალი

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს N1431 განკარგულებით დამტკიცებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმა ცენტრალური ზონისთვის წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს. გეგმა მიზნად ისახავს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას ცენტრალურ ზონაში, რომელიც მოიცავს შემდეგ მუნიციპალიტეტებს: ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის და თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი. აღნიშნული მიზნის შესაბამისად სამოქმედო გეგმა აერთიანებს ოთხ ამოცანას, რომელთა განხორციელებაზე პასუხისმგებლები არიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებები, სხვა სამთავრობო უწყებები და ქ. რუსთავის, მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია. ეს ამოცანებია:

- ამოცანა 1.1 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება
- ამოცანა 1.2 - ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან დაბინძურების შემცირება
- ამოცანა 1.3 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესება
- ამოცანა 1.4 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის ამოცანებისა და აქტივობების შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას 2024 წლის 1 იანვრიდან - 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.


მონიტორინგის ანგარიში შემუშავდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის სამმართველოს კოორდინირებით პასუხისმგებელი უწყებებისგან მიღებული სტატუს ანგარიშების საფუძველზე. ანგარიში შესაბამისობაშია „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით განსაზღვრულ წლიური ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგიასთან.

ანგარიშის პროექტი განხილული და შეთანხმებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 ოქტომბრის N2-812 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ცენტრალური ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

ზოგადი პროგრესი

როგორც უკვე აღინიშნა სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს ყველა ძირითადი მავნე ნივთიერების, განსაკუთრებით კი უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების (PM₁₀, PM_{2.5}) საშუალო კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმების ფარგლებში მოქცევას. მონიტორინგის შედეგად მიღებული 2024 წლის მაჩვენებლების ანალიზით ირკვევა, რომ ცენტრალურ ზონაში, კერძოდ ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობა საბაზისო დონესთან შედარებით გაუმჯობესებულია, თუმცა ეს გაუმჯობესება არ ასახულა გავლენის ინდიკატორზე, რადგან გაუმჯობესების მიუხედავად მყარი ნაწილაკების საშუალო წლიური კონცენტრაცია მცირედით მაინც აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმას.

ძველ რუსთავში მყარი ნაწილაკების საშუალო წლიური კონცენტრაცია 2019-2024 წლებში



უმცირესი მყარი ნაწილაკების საშუალო წლიური კონცენტრაციები შემცირდა, კერძოდ PM₁₀-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ ძველ რუსთავში მდებარე მონიტორინგის სადგურზე შეადგინა 43 მკგ/მ³, ხოლო PM_{2.5}-ისამ - 24 მკგ/მ³, რაც შესაბამისად 22% და 11%-ით ნაკლებია საბაზისო 2022 წელთან შედარებით, ხოლო 2019 წელთან შედარებით - 32%-ით და 25%-ით. გაუმჯობესებული საშუალო წლიური ხარისხობრივი მაჩვენებლები სავარაუდოდ განპირობებულია მსხვილი სამრეწველო ობიექტების მხრიდან დაწესებული საკანონმდებლო რეგულაციების უკეთესი აღსრულებით, ნაწილობრივ კი საწარმოთა ნაწილის ფუნქციონირების დროებითი შეჩერებით. შედეგად, 2023 წლისთვის ადგილზე მყარი ნაწილაკების კონცენტრაცია მცირედით (PM₁₀ – 7%-ით, ხოლო PM_{2.5} – 20%-ით) აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას. ნორმებს (35 დღე) აღემატება PM₁₀-ის დღიური კონცენტრაციის გადაჭარბების შემთხვევები, რომელმაც ჯამში 2024 წელს 107 დღე შეადგინა და მათ შორის 66 იყო განპირობებული სინოპტიკური პროცესებით (საქართველოს ტერიტორიაზე უდაბნოს მტვრის ნაწილაკების შემცველი ჰაერის მასების გავრცელებით). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ

2022 წელთან შედარებით (187 გადაჭარბება) ეს მაჩვენებელი ასევე მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია.

ქ. რუსთავში, N20 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ სადგურზე ასევე PM10-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 41.2 მკგ/მ³, ხოლო PM2.5-ისამ - 18.2 მკგ/მ³. აღნიშნული მაჩვენებლები აჭარბებს PM10-ის ზღვრულად დასაშვებ ნორმას 3%-ით, ხოლო PM2.5-ის კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვები ნორმის ფარგლებშია. ნორმებს (35 დღე) აღემატება PM10-ის დღიური კონცენტრაციის გადაჭარბების შემთხვევები, რომელმაც ჯამში 2024 წელს 107 დღე შეადგინა და მათ შორის 69 იყო განპირობებული სინოპტიკური პროცესებით (საქართველოს ტერიტორიაზე უდაბნოს მტვრის ნაწილაკების შემცველი ჰაერის მასების გავრცელებით).

ცენტრალურ ზონაში NO₂-ის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ 2024 წელს გადააჭარბა ნორმას (40 მკგ/მ³) მონიტორინგის ოთხ პუნქტზე, კერძოდ ქ. რუსთავის ორ და ქ. ხაშურისა და მარნეულის თითო-თითო ინდიკატორული დაკვირვების პუნქტებზე. ქ. რუსთავში აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციამ შეადგინა 58 მკგ/მ³ და 52 მკგ/მ³, ქ. მარნეულში - 61 მკგ/მ³, ხოლო ქ. ხაშურში - 51 მკგ/მ³.

ცენტრალურ ზონაში განთავსებულ მონიტორინგის პუნქტებზე დაფიქსირებული SO₂-ის, CO-ს და O₃-ის, საშუალო კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმას, ხოლო Pb-ის, Cd-ის, As-ის, Ni-ის, C₆H₆ -ის და C₂₀H₁₂-ის კონცენტრაციის დადგენის მიზნით ხორციელდება მიღებული სინჯების ანალიზი.

მიზანი	N	გავლენის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი 2022 წელი	სამიზნე მაჩვენებელი 2025 წელი	მაჩვენებელი 2023 წლისთვის	მაჩვენებელი 2024 წლისთვის
ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება	1.1	ცენტრალურ ზონაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების (PM10, PM2.5) საშუალო წლიური კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას	1	0	1	2
	1.2	ცენტრალურ ზონაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც NO ₂ -ის საშუალო წლიური კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას	4	3	4	4
	1.3	ცენტრალურ ზონაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც SO ₂ -ის, CO-ს, O ₃ -ის, Pb-ის, Cd-ის, As-ის, Ni-ის, C ₆ H ₆ -ის და C ₂₀ H ₁₂ -ის საშუალო კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას	0	0	0	0

სამოქმედო გეგმის ამოცანებიდან 2024 წელს 1.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორი დაახლოებით 50%-ით გაუმჯობესებულია საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით. კერძოდ, ცენტრალურ ზონაში მდებარე სტაციონარული წყაროებიდან საანგარიშო წელს გაიფრქვა დაახლოებით 9

080 ტონა მყარი ნაწილაკი. აღნიშნული ძირითადად წარმოადგენს ადგილზე არსებული სამრეწველო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების უკეთ აღსრულებისა და აირმტვერდამჭერი სისტემების (ფილტრები) გამართვის შედეგს, რასაც თავის მხრივ ხელი შეუწყო სამოქმედო გეგმის აქტივობებმა. იმისთვის რომ სრულად მიღწეულ იქნას 1.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორი, აუცილებელია დაწესებული საკანონმდებლო რეგულაციების აღსრულების სისტემის შემდგომი გაუმჯობესება და მსხვილი საწარმოების მხრიდან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულება.

1.2 ამოცანას რაც შეეხება, რომელიც მიზნად ისახავს ცენტრალურ ზონაში ტრანსპორტიდან გამონაბოლქვის შემცირებას, საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით აღინიშნება მცირედი გაუმჯობესება, კერძოდ 1 ერთეულ ავტომობილზე გადათვლით აზოტის დიოქსიდის ემისიები 2023 წელს 2021 წელთან შედარებით შემცირდა 5%-ით, 9.2 კგ-დან 8.8 კგ-მდე. ამასთან, გაზრდილი სატრანსპორტო მობილობიდან გამომდინარე აღნიშნული მაჩვენებელი გაუარესებულია 2022 წელთან შედარებით. 2024 წლის მაჩვენებელი გამოითვლება 2026 წლისთვის. აზოტის დიოქსიდით დაბინძურების პრობლემის გადასაწყვეტად სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულ აქტივობებთან ერთად საჭიროა დამატებითი, უფრო ამბიციური აქტივობების დაგეგმვა და დროული განხორციელება ეროვნულ დონეზე.

2024 წელს საბაზისო დონესთან შედარებით ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემა გაუმჯობესდა, თუმცა ეს გაუმჯობესება არ ასახულა 1.3 ამოცანის შედეგის ინდიკატორზე, რადგან ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი ავტომატური სადგური ქსელს დაემატა ქ. რუსთავში, სადაც საბაზისო წელსაც განთავსებული იყო სადგური.


მნიშვნელოვანი პროგრესია 1.4 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების მიმართულებით 2024 წლის მაჩვენებელი 2-ჯერ აჭარბებს საბოლოო მაჩვენებელს. საანგარიშო წელს გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 417-მა მონაწილემ.

ამოცანა	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მაჩვენებელი 2023 წლისთვის	მაჩვენებელი საანგარიშო წლისთვის
1.1 ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება	ცენტრალურ ზონაში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მყარი ნივთიერებების მასა	18 340 ტონა	6 245 ტონა	8 800 ტონა	9 080 ტონა
1.2 ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვის შემცირება	ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტიდან აზოტის დიოქსიდის (NO ₂) გაფრქვევების წლიური რაოდენობა შეწონილი ავტომობილების რაოდენობასთან	9.2 კგ/ერთ	7.7 კგ/ერთ	8.5 კგ/ერთ (2022 წელი)	8.8 კგ/ერთ (2023 წელი)
1.3 ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე	ცენტრალურ ზონაში დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ხორციელდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგი	1	4	1	1

ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესება					
1.4 ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	ცენტრალურ ზონაში ჩატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების მონაწილეთა რაოდენობა	230	500	659	1076


2024 წელს სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი 27 აქტივობიდან მიმდინარეობდა 22 აქტივობის განხორციელება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა სამოქმედო გეგმის აქტივობათა 22% (6 აქტივობა). აგრეთვე, საანგარიშო პერიოდის დასასრულს მეტწილად შესრულდა აქტივობების 30% (8 აქტივობა), ხოლო ნაწილობრივ შესრულდა - 37% (10 აქტივობა). არ დაწყებულა 3 აქტივობის განხორციელება. საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების პროგრესმა შეადგინა 56%.

გეგმის აქტივობების განხორციელების დონე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით




ამოცანების ჭრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება 1.4 ამოცანაში, რომლის აქტივობები 76%-ითაა შესრულებული. 1.1 და 1.2 ამოცანების აქტივობები - 58%-ით. ხოლო 1.3 ამოცანას პროგრესი 36%-ს შეადგენს.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დონე ამოცანების ჭრილში




სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი ამოცანების ჭრილში, %




ამოცანების ჭრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებს, ხოლო ნაწილობრივ შესრულებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის აქტივობები, რაც ძირითადად განპირობებულია დაფინანსების არარსებობითა და შესაბამისი დონორდული პროექტების განხორციელების გაჭიანურებით.

სამოქმედო გეგმის განხორციელების დონე პასუხისმგებელი უწყებების კრილში



სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი პასუხისმგებელი უწყებების კრილში, %



საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებს შორის აღსანიშნავია ცენტრალურ ზონაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, განხორციელდა 266 საქმიანობის სუბიექტის 346 ინსპექტირება, მათ შორის, 59 ინსპექტირება ქ. რუსთავში. ამასთანავე, ცენტრალური ზონის მუნიციპალიტეტებმა ჩაატარეს 139 ინსპექტირება ამტვერებადი მასალის დამუშავების, განთავსებისა და ტრანსპორტირების წესების ზედამხედველობის მიზნით. ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით, შემუშავდა სამართლებრივი აქტის პროექტი. ქ. რუსთავში განახლდა ქუჩების სველი წესით დამუშავება, რომელიც რეგულარულად მიმდინარეობდა 20-30 კმ-ზე.

ცენტრალურ ზონაში ქ. რუსთავის, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ 2024 წელს მოეწყო 29 რეკრეაციული ზონა, რეაბილიტირდა 118 ათას მ²-მდე გზის საფარი და 21 ათას მ²-ზე მეტი ტროტუარი, მოეწყო ველობილიკები 6 ათას მ²-ზე მეტ ფართობზე. დაირგო 1.5 ათასი

ძირი ხე-მცენარე. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით, მოეწყო 29 გაჩერება.

საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლის დანერგვის მიზნით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები. ცენტრალურ ზონაში 3 ავტოგასამართ სადგურზე განხორციელდა საავტომობილო საწვავის ხარისხის შემოწმება.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქ. რუსთავის 30 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების საპილოტე კვლევა. დაიწყო ევროკავშირის პროექტი რომლის ფარგლებშიც გაფართოვდება ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი.

ცენტრალური ზონიდან გადამზადდა 149 პედაგოგი და 268 აღმზრდელი/მეთოდისტი „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ საგანმანათლებლო პროგრამების დაწყებით სასკოლო და სკოლამდელ დაწესებულებებში ინტეგრირების მიზნით.

სამრეწველო სექტორიდან მყარი ნაწილაკებით დაბინძურების პრევენციისთვის საჭიროა აქტიური საზედამხედველო საქმიანობის გაგრძელება. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე დაბინძურების სხვა წყაროებს. აუცილებელია ამტვერებადი მასალების დამუშავების, განთავსებისა და ტრანსპორტირების ეფექტური ზედამხედველობა და ქუჩების სველი წესით დამუშავება. ცენტრალური ზონაში ჰაერის აზოტის დიოქსიდის დაბინძურების შესამცირებლად გეგმაში არსებული აქტივობების განხორციელებასთან ერთად აუცილებელია დამატებით აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება ეროვნულ დონეზე. ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად საჭიროა დამატებითი დაფინანსების მოძიება და შესაბამისი დონორული მხარდაჭერის პროექტების დროული განხორციელება.

დეტალური პროგრესი 1.1 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.1 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება

პროგრესი - ამოცანის დონე:

2024 წელს ცენტრალურ ზონაში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მყარი ნივთიერებების მასა საბაზისო დონესთან, 2021 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად, დაახლოებით 50%-ით შემცირდა და 9 080 ტონა შეადგინა. აღნიშნული ძირითადად წარმოადგენს ადგილზე არსებული სამრეწველო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების უკეთ აღსრულებისა და აირმტვერდამჭერი სისტემების (ფილტრები) გამართვის შედეგს, რასაც თავის მხრივ ხელი შეუწყო სამოქმედო გეგმის აქტივობამ, საკანონმდებლო მოთხოვნების აღსრულების მიზნით ინსპექტირების ღონისძიებების გააქტიურებამ და უწყვეტი ზედამხედველობის შესაძლებლობების გაზრდამ. ზემოაღნიშნული შემცირება ნაწილობრივ ასევე გამოწვეულია ცალკეული სამრეწველო ობიექტების მიერ ფუნქციონირების

შეჩერებით. ცენტრალურ ზონაში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტ თვითმონიტორინგს დაქვემდებარებული 55 ობიექტიდან საანგარიშო პერიოდის მიწურულს მოქმედია 35 საწარმო, რომელთა შორის 22 საწარმოა დარეგისტრირებული სამინისტროს ელექტრონულ სისტემაში.


თუმცა იმ ფონზე, რომ ფიქსირდებოდა ხარვეზები მსხვილი საწარმოების მიერ დაწესებული რეგულაციების დროული აღსრულებისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულების კუთხით, ჰაერში მყარი ნივთიერებების გაფრქვევების დაგეგმილი შემცირება ვერ იქნა მიღწეული. 2024 წელს ჰაერში გაფრქვევების ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტი თვითმონიტორინგის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის (ასკ მუხლი 76-1) ცენტრალურ ზონაში 20 სამრეწველო ობიექტი დაჯარიმდა (მ.შ. უწყვეტ თვითმონიტორინგის ფარგლებში მონაცემების ელექტრონულ სისტემაში უწყვეტად გადმოცემის ვალდებულების დარღვევისათვის - 11 ობიექტი; უწყვეტ თვითმონიტორინგის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის - 9 ობიექტი). აგრეთვე, 11 საწარმო დაჯარიმდა უწყვეტ თვითმონიტორინგის ფარგლებში მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გადამეტების გამო (სულ 22 შემთხვევა).

იმისთვის, რომ სრულად შევასრულოთ სამოქმედო გეგმის საკვანძო ამოცანა, საჭიროა ცენტრალურ ზონაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნივთიერებების მასა საბაზისო დონესთან შედარებით შემცირდეს დაახლოებით 66%-ით ნაცვლად 50%-ისა, რისთვისაც აუცილებელია მსხვილი საწარმოო ობიექტების მხრიდან დაწესებული რეგულაციების სრულად აღსრულება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულება, აგრეთვე, აღნიშნული ობიექტების მიერ ინვესტიციების გაღება აირმტვერდამჭერი სისტემების გამართვის, გაფრქვევების უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემების დანერგვის, არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების ლიკვიდაციისა და ამტვერებადი ნედლეულისა და საწარმოო ნარჩენების ღია ცის ქვეშ განთავსების პრევენციისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მიმართულებებით ცენტრალურ ზონაში არსებული საწარმოების ნაწილს გააქტიურებული აქვს მუშაობა, რაც გამოხატულია მათ მიერ გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის მოწესრიგებაში, საწარმოო პროცესის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანაში, აირმტვერდამჭერი სისტემების გამართვასა და გაფრქვევების უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემების შექმნა-დანერგვაში.

ამოცანა	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი 2021 წელი	სამიზნე მაჩვენებელი 2025 წელი	მაჩვენებელი 2023 წლისთვის	მაჩვენებელი საანგარიშო წლისთვის
1.1 ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება	ცენტრალურ ზონაში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მყარი ნივთიერებების მასა	18 340 ტონა	6 245 ტონა	8 800 ტონა	9 080 ტონა

პროგრესი - აქტივობის დონე:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1.1 ამოცანის 8 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 1 აქტივობა, 3 აქტივობა შესრულდა მეტწილად, ხოლო 4 - ნაწილობრივ, აქტივობების შესრულების პროგრესმა შეადგინა 58%. აქტივობები ძირითადად განხორციელდა ადმინისტრაციული, საბიუჯეტო და დონორული დაფინანსებით. სამოქმედო გეგმის ფარგლებში 1.1 ამოცანის განსახორციელებლად გამოყოფილი 63 164 999 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 36 707 987 ლარი.



2023 წელთან შედარებით, 1.1 ამოცანის ფარგლებში განხორციელებულ თითქმის ყველა აქტივობის მიმართულებით აღინიშნება საგრძნობი პროგრესი. კერძოდ, ინფრასტრუქტურული აქტივობების მიმართულებით, ცენტრალურ ზონაში საგრძნობი პროგრესია გზის საფარის გაუმჯობესების კუთხით – 2024 წელს დაიგო 117 976 მ² გზის საფარი.

ცენტრალური ზონის მუნიციპალიტეტებმა 2024 წელსაც გააგრძელეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152^ბ-152^გ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტების ზედამხედველობა (1.1.2). აღნიშნული პროცესი საანგარიშო პერიოდში ძირითადად კვლავ ატარებდა პრევენციულ ხასიათს და მოხდა იმ პირების გაფრთხილება/ინფორმირება, რომელიც აწარმოებს ამტვერებადი მასალის დამუშავებას, განთავსებასა და ტრანსპორტირებას.

ქ. რუსთავში განახლდა ქუჩების სველი წესით დამუშავება, კერძოდ სველი წესით ქუჩების დასუფთავების პროცესი რეგულარულად მიმდინარეობდა 20-30 კმ-ზე (1.1.5).

2024 წელსაც გაგრძელდა ცენტრალურ ზონაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში ცენტრალურ ზონაში გზდ-ს მიერ განხორციელდა 266 ობიექტის 346 ინსპექტირება.

მათ შორის ქ. რუსთავში, რომელიც წარმოადგენს ცენტრალური ზონის ცხელ წერტილს, ჩატარდა 31 ობიექტის 59 ინსპექტირება (1.1.3). ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით, შემუშავდა სამართლებრივი აქტის პროექტი. ამავდროულად, საანგარიშო პერიოდში ცენტრალურ ზონაში ჩატარდა აღნიშნული საქმიანობის მიზნობრივი ინსპექტირება, რომლის ფაგლებშიც შემოწმდა 32 ობიექტი.

ასევე აღსანიშნავია, რომ შემუშავდა რუსთავის ჭალის ტყის აღდგენის გეგმა 250 ჰექტარი ტერიტორიის აღდგენისა და განვითარებისთვის მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე (1.1.6). დაიწყო 3 საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც იმუშავებს უფრო სუფთა ენერჯიაზე დაფუძნებულ გათბობის სისტემაზე (1.1.8).

რისკები:

როგორც უკვე აღინიშნა, ამოცანის განსახორციელებლად და მისი შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლის მისაღწევად აუცილებელია მსხვილი საწარმოო ობიექტების მხრიდან დაწესებული რეგულაციების აღსრულება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულება, რაც მოითხოვს აღნიშნული ობიექტების მიერ ინვესტიციების გაღებას. იმ შემთხვევაში, თუკი მსხვილი სამრეწველო ობიექტები არ უზრუნველყოფენ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრულად შესრულებას სამოქმედო გეგმის გავლენის 1.1 ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელიც ვერ იქნება მიღწეული და ცენტრალურ ზონის ქ. რუსთავში მტკვრის უმცირესი ნაწილაკების საშუალო წლიური კონცენტრაცია ვერ მოექცევა ნორმის ფარგლებში.

აქტივობების დონეზე, მისასაღმებელია, რომ მყარი ნაწილაკებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით ცენტრალური ზონის ცხელ წერტილში - ქ. რუსთავში აღდგა ქუჩების სველი წესით დასუფთავება (1.1.5). საჭიროა დასუფთავების პროცესი იყოს რეგულარული და მან სრულად მოიცვას სამრეწველო ზონა და მისი მიმდებარე ტერიტორიები განსაკუთრებით წლის მშრალ და ცხელ პერიოდებში. ასევე, დროულად უნდა მოხდეს ინვესტიციების მოძიება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე რუსთავის ჭალის ტყის განსავითარებლად (1.1.6).

შემდგომი ნაბიჯები:

2025 წელს გაგრძელდება 1.1 ამოცანის ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობის განხორციელება. კერძოდ:

- გაგრძელდება სამრეწველო ობიექტების და ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესის ინსპექტირება;
- განისაზღვრება და დაწესდება კონკრეტული, სავალდებულოდ შესასრულებელი ქმედებები ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით;
- გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურული და ქ. რუსთავში იაღლუჯის მთის გამწვანების სამუშაოები;
- სამრეწველო ზონის მიმდებარედ ქუჩების სველი წესით დამუშავება განხორციელდება რეგულარულად.

დეტალური პროგრესი 1.2 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.2 - ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან დაბინძურების შემცირება

პროგრესი - ამოცანის დონე:

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ინვენტარიზაციის 2025 წლის ანგარიშის საფუძველზე დაკორექტირდა საბაზისო, საბოლოო და 2022 წლის მაჩვენებლები მათ შორის პროპორციული განსხვავების შესაბამისად. ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია ამოცანის შედეგის ინდიკატორის მაჩვენებელი 2023 წლისათვის. 2024 წლის მაჩვენებელი გამოითვლება 2026 წლისთვის.

2023 წელს ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა 2.4%-ით გაიზარდა, თუმცა აზოტის ოქსიდების გაფრქვევების რაოდენობა 2022 წელთან შედარებით გაიზარდა 3%-ით (0.3 კგ 1 ერთეულზე), რაც ძირითადად განპირობებულია 2023 წელს ავტომობილთა გაზრდილი მოხილვითა და საწვავის გაზრდილი მოხმარებით.

2024 წელს საბაზისო 2021 წელთან შედარებით ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა 18%-ით, 245 ათასიდან 290 ათასამდე გაიზარდა. 2024 წელს ეს რაოდენობა 1.1%-ით დაახლოებით 3.1 ათასი ავტომობილით გაიზარდა, რომელთა შორის დაახლოებით 1.1 ათასი ავტომობილი იყო სუფთა (ჰიბრიდები, ელექტრო). ცენტრალური ზონის ავტოპარკში სუფთა ავტომობილების წილი 2023-2024 წლებში 5.6%-დან 5.9%-მდე გაიზარდა.


აზოტის დიოქსიდით დაბინძურება ურბანულ დასახლებებსა და საავტომობილო მაგისტრალურებთან რჩება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ცენტრალური ზონაში და ზოგადად ქვეყანაში, რაზეც მოწმობს ცენტრალურ ზონაში ჩატარებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები შედეგები. როგორც უკვე აღინიშნა, აზოტის დიოქსიდის (NO₂) საშუალო წლიურმა კონცენტრაცია კვლავაც 4 დაკვირვების პუნქტზე აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას. აზოტის დიოქსიდით დაბინძურების პრობლემის გადასაწყვეტად სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულ აქტივობებთან ერთად საჭიროა დამატებითი, უფრო ამბიციური აქტივობების დაგეგმვა და დროული განხორციელება ეროვნულ დონეზე. ამ მხრივ აღსანიშნავია 2024 წელს ავტომობილის ემისიის ევრო 5 სტანდარტის შემოღება და მის საფუძველზე 2024 წლის 1 იანვრიდან სტანდარტთან შეუსაბამო მსუბუქი ავტომობილებისა (M1) და მიკროავტობუსებისთვის (M2), ხოლო 2025 წლის 1 იანვრიდან - სატვირთო ავტომობილებისა (N1, N2, N3) და ავტობუსებისთვის (M3) რეგისტრაციის აკრძალვა.

ამოცანა	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი 2021 წელი	სამიზნე მაჩვენებელი 2025 წელი	მაჩვენებელი 2022 წლისთვის	მაჩვენებელი 2023 წლისთვის
---------	-----------------------------	--------------------------------	-------------------------------	---------------------------	---------------------------

1.2 ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვის შემცირება	ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტიდან აზოტის დიოქსიდის (NO ₂) გაფრქვევების წლიური რაოდენობა შეწონილი ავტომობილების რაოდენობასთან	9.2 კგ/ერთ	7.7 კგ/ერთ	8.5 კგ/ერთ	8.8 კგ/ერთ
--	---	------------	------------	------------	------------

პროგრესი - აქტივობის დონე:

1.2 ამოცანის დარჩენილი 8 აქტივობიდან (1.2.5 აქტივობა განხორციელდა 2023 წელს) 1 აქტივობა სრულად, 4 - მეტწილად, ხოლო 3 კი ნაწილობრივ შესრულდა. აქტივობების შესრულების პროგრესმა შეადგინა 58%. აქტივობები განხორციელდა ადმინისტრაციული და საბიუჯეტო ხარჯებით. სამოქმედო გეგმის ფარგლებში 1.2 ამოცანის განსახორციელებლად გამოყოფილი 22 156 300 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 8 446 558,27 ლარი.



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია, ცენტრალურ ზონაში ახალი რეკრეაციული ზონების შექმნა და არსებული რეკრეაციული ზონების რეაბილიტაციის მხრივ მიღწეული პროგრესი (1.2.9), რომელიც სრულად განხორციელდა. მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 29 რეკრეაციულ ზონას. დაირგო 1526 ერთეული ხე-მცენარე (1.2.8).

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლის დანერგვის მიზნით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები (1.2.6). ცენტრალურ ზონის 3 ავტოგასამართი სადგურიდან აღებულ იქნა დიზელის და ბენზინის 8 სინჯი საავტომობილო საწვავის ხარისხის შემოწმების მიზნით (1.2.7).

ცენტრალურ ზონაში ფეხით გადაადგილების ინფრასტრუქტურა ქ. რუსთავში გაუმჯობესდა 21 258 მ² ფართობზე (1.2.1), ხოლო ველობილიკები მოეწყო 6 046 მ² ფართობზე (1.2.2).

მოეწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის 29 გაჩერება (1.2.3) და ქ. რუსთავში დამონტაჟდა 2 ერთეული ელექტრომობილების დამტენი მოწყობილება (1.2.4).

რისკები:

აზოტის დიოქსიდის ნორმაზე გადაჭარბებული კონცენტრაციის მიზეზია მოძველებული ავტოპარკი და ავტომობილების მზარდი რაოდენობა. ცენტრალურ ზონაში ავტოპარკის განახლების პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს. როგორ უკვე აღინიშნა, პრობლემის მოსაგვარებლად ცენტრალურ ზონაში განსახორციელებელ აქტივობებთან ერთად საჭიროა გაგრძელდეს დამატებითი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება ეროვნულ დონეზე, რომელიც ერთი მხრივ უზრუნველყოფს არსებული ავტოპარკის ტექნიკურ გამართულობას, ხოლო მეორე მხრივ, ახალი ავტომობილებში გაზრდის უფრო სუფთა და ახალი ავტომობილების წილს. ასევე საჭიროა გაგრძელდეს/გაფართოვდეს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვის გზებზე კონტროლი ურბანულ დასახლებებში და დროულად დაინერგოს სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლი საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ღონისძიებას ავტოტრანსპორტიდან დაბინძურების შესამცირებლად.

შემდგომი ნაბიჯები:

2025 წელს 1.2 ამოცანის ფარგლებში გაგრძელდება გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობები:

- დაინერგება სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლი საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე და განხორციელდება საავტომობილო საწვავის ხარისხის კონტროლი.
- გაგრძელდება ინფრასტრუქტურული ღონისძიებები ცენტრალურ ზონაში გადაადგილების ალტერნატიული ფორმების განსავითარებლად, რაც მოიცავს ფეხით, ველოსიპედით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით და ელექტრომობილებით გადაადგილების მიზნით ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.
- გაგრძელდება მწვანე ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც, რათა შერბილდეს აზოტის დიოქსიდით დაბინძურების შედეგები. კერძოდ, შეიქმნება რეკრეაციული ზონები და განთავსდება მწვანე ნარგავები.

დეტალური პროგრესი 1.3 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.3 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესება


პროგრესი - ამოცანის დონე:

2024 წელს საბაზისო დონესთან შედარებით ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემა გაუმჯობესდა, თუმცა ეს გაუმჯობესება არ ასახულა 1.3 ამოცანის შედეგის ინდიკატორზე, რადგან ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი ავტომატური სადგური ქსელს დაემატა ქ. რუსთავში, სადაც საბაზისო წელსაც განთავსებული იყო სადგური.

ამოცანა	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი 2022 წელი	სამიზნე მაჩვენებელი 2025 წელი	მაჩვენებელი 2023 წლისთვის	მაჩვენებელი საანგარიშო წლისთვის
1.3 ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესება	ცენტრალურ ზონაში დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ხორციელდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგი	1	4	1	1

პროგრესი - აქტივობის დონე:

1.3 ამოცანის ფარგლებში დარჩენილი 6 აქტივობიდან (1.3.5 განხორციელდა 2023 წელს) 1 შესრულდა სრულად, 2 შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო 3 აქტივობის შესრულება არ დაწყებულა. შესრულების პროგრესმა შეადგინა 36%. აქტივობების განსახორციელებლად გათვალისწინებული 3 441 951 ლარიდან საანგარიშო წელს თანხა არ დახარჯულა.



1.3 ამოცანის ფარგლებში ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესების კუთხით საგრძნობი პროგრესი არ დაფიქსირებულა. ძირითადი გამოწვევები დაკავშირებულია ჰაერის ხარისხის მოდელირების მიმართულებით კვალიფიციური კადრების ნაკლებობასთან, რაც საჭიროებს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიზნობრივ გადამზადებას.

დამატებით, ფინანსური რესურსების შეზღუდულობამ და შესაბამისი ექსპერტიზის დეფიციტმა მნიშვნელოვნად შეზღუდა აღნიშნული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა. ამ მიმართულებით პროგრესის მიღწევა დამოკიდებულია საერთაშორისო დონორული დაფინანსების მოპოვებასა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობაზე.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქ. რუსთავის 30 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების საპილოტე კვლევა, რომლის შედეგები წარედგინა დაინტერესებულ საზოგადოებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაიწყო ევროკავშირის პროექტი „ჰაერის ხარისხი მოქალაქეთა უკეთესი ჯანმრთელობისთვის“, რომლის ფარგლებშიც გაფართოვდება ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგის ქსელი, გაიზრდება გრავიმეტრული ხელსაწყოების რაოდენობა და შემუშავდება ჰაერის ხარისხის მოდელი (1.3.1; 1.3.2; 1.3.3).

რისკები:

ვინაიდან 1.3 ამოცანის ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება დამოკიდებულია დონორულ დახმარებაზე, საჭიროა შესაბამის მხარდაჭერის პროექტებში გეგმით გათვალისწინებული აქტივობების პრიორიტიზაცია და მათი დროულად დაწყება/განხორციელება.

შემდგომი ნაბიჯები:

2025 წელს 1.3 ამოცანის ფარგლებში დონორული მხარდაჭერით განხორციელდება გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობები:

- გაფართოვდება ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი და ავტომატური სადგურები განთავსდება ქ. ბოლნისში, ქ. გორსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თაზაქენდში;
- შემუშავდება ცენტრალური ზონის ჰაერის ხარისხის მოდელი;
- ქ. რუსთავში მყარი ნაწილაკებით დაბინძურების წილის დადგენის შესახებ კვლევის ჩატარება და ჰაერის დაბინძურების მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების ინდიკატორების კომპენდიუმის შემუშავება დამოკიდებულია დაფინანსების მოძიებაზე;

დეტალური პროგრესი 1.4 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.4 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება

პროგრესი - ამოცანის დონე:

2023 წელს 1.4 ამოცანის ფარგლებში ჰაერის დაცვის საკითხებზე ჩატარდა 3 ღონისძიება და ორი ტრენინგკურსი, რომელშიც ჯამში მონაწილეობა მიიღო 417-მა მონაწილემ. შესაბამისად, 1.4 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელი სრულად იქნა მიღწეული.


ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყო სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

ამოცანა	ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი 2022 წელი	სამიზნე მაჩვენებელი 2023-2025 წლები	მაჩვენებელი 2023 წლისთვის	მაჩვენებელი საანგარიშო წლისთვის
1.4 ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	ცენტრალურ ზონაში ჩატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების მონაწილეთა რაოდენობა	230	500	659	1076

პროგრესი - აქტივობის დონე:

ამოცანა 1.4-ის ფარგლებში დაგეგმილი 3 აქტივობიდან 1 სრულად განხორციელდა, 1 მეტწილად შესრულდა, ხოლო 1 - ნაწილობრივ. აქტივობების შესრულების პროგრესმა კი შეადგინა 76%. აქტივობები ძირითადად განხორციელდა ადმინისტრაციული და საბიუჯეტო დაფინანსებით, გამოყოფილი 32 000 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 27350 ლარი.

ამოცანა 1.4-ის აქტივობების განხორციელების პროგრესი



ამოცანის ფარგლებში 2024 წელს განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობები:

- გაიმართა [შეხვედრა მედიასამუალებების წარმომადგენლებთან](#), სადაც 23 მონაწილე გაეცნო ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად გამოწვევებს და ძირითად დამბინძურებლებს (1.4.1).
- [„სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება სკოლაში“](#) პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა 5 (20-საათიანი) ტრენინგი და გადამზადდა 149 მასწავლებელი ცენტრალური ზონიდან. აგრეთვე, ცენტრალური ზონიდან 268 აღმზრდელმა/მეთოდისტმა გაიარა

ტრენინგი გარემოსდაცვით თემებზე (8 შეხვედრა), რის შემდეგაც მათ გადაეცათ შესაბამისი სახელმძღვანელოები (1.4.2; 1.4.3).

რისკები:

მიმდინარე წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები პოზიტიურია, განსაკუთრებით ცენტრალურ ზონაში გარემოსდაცვითი ღონისძიებების ფარგლებში მონაწილეთა რაოდენობის სამიზნე მაჩვენებლის შესრულებით. თუმცა, გარემოსდაცვითი ცნობიერების ღონის მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად და სამიზნე ჯგუფებში (მოსწავლეები, მასწავლებლები, აღმზრდელები) ეფექტური შედეგების მისაღწევად აუცილებელია მსგავს აქტივობათა გაგრძელება მომავალშიც

შემდეგი ნაბიჯები

2025 წელს გაგრძელდება გარემოსდაცვითი ცნობიერების ღონის ამალგების აქტივობები, რომლის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიება, ჩატარდება სულ მცირე 6 შეხვედრა და გავრცელდება 135 ცალი საინფორმაციო მასალა.

გამოწვევები და რეკომენდაციები

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ცენტრალურ ზონაში მყარი ნაწილაკებით ჰაერის დაბინძურების პრობლემის მოგვარებისთვის მთავარ გამოწვევას ზონაში არსებული მსხვილი საწარმოო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების არასათანადოდ შესრულება წარმოადგენს, რაც მოიცავს აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გამართვისა და ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ვალდებულებების შეუსრულებლობასაც. მისასალმებელია, რომ ცენტრალურ ზონაში არსებული 35-დან 22 საწარმომ დანერგა უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემა. თვითმონიტორინგის სისტემის დანერგვა მით უფრო მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი წარმოადგენს შესაბამის საწარმოებში აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გამართვის წინაპირობასა და გარანტიას. ზონაში განთავსებულ საწარმოებში ასევე პრობლემური არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების არსებობა და ამტვერებადი ნედლეულისა და საწარმოო ნარჩენების ღია ცის ქვეშ დროებითი ან გრძელვადიანი განთავსება, რაც ქარიან ამინდებში მყარი ნაწილაკებით დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროა. აუცილებელია საწარმოო პროცესების მოწესრიგება, რისი ხელშემწყობია აქტიური საზედამხედველო ღონისძიებები, აგრეთვე, თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში უკვე ჩართული საწარმოების მიერ მოწოდებული მონაცემების პროაქტიული მონიტორინგი, რაშიც მთავარი როლი სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს აქვს. დაინტერესებული პირების ინფორმირების მიზნით ინსპექტირების ძირითადი შედეგები უნდა გასაჯაროვდეს.

მნიშვნელოვანი აქტივობაა ასევე სავალდებულოდ შესასრულებელი ქმედებების განსაზღვრა ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით. აუცილებელია შემუშავებული სამართლებრივი აქტის პროექტი დროულად იქნას დამტკიცებული, რათა შესაბამისმა საქმიანობის სუბიექტებმა მოასწრონ შესაბამისი ზომების მიღება და ახალი ვალდებულებების დროული განხორციელება.

სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მყარი ნაწილაკებით დაბინძურების სხვა წყაროებსაც. ამ მხრივ მისასალმებელია ქ. რუსთავეში ქუჩების სველი წესით რეგულარული დასუფთავების პროცესის აღდგენა, რადგანაც წლის მშრალ პერიოდებში მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებაა მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შესამცირებლად. ამასთან, ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესის ზედამხედველობა კვლავაც წარმოებს ძირითადად ინფორმირების/გაფრთხილების ღონისძიების სახით. მომდევნო წლებში, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას კანონმდებლობით განსაზღვრული იძულების ღონისძიებები, განსაკუთხრებით მყარი ნაწილაკებით დაბინძურების ცხელ წერტილებში, რათა ზედამხედველობის შედეგად მიღწეულ იქნას დაბინძურების პრევენცია.

კიდევ ერთი გამოწვევაა, ცენტრალური ზონის ქალაქებში ჰაერში აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე გადაჭარბება, რის მოსაგვარებლადაც საჭიროა დამატებითი უფრო ამბიციური აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება ეროვნულ დონეზე. ამ მხრივ მისასალმებელია ის აქტივობები, რომლებიც დაიგეგმა 2024-2026 წლების თბილისის აგლომერაციის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის ფარგლებში, რომელთა განხორციელებასაც პოზიტიური ზეგავლენა ექნება ცენტრალურ ზონაში ჰაერის ხარისხზეც.

ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით 1.3 ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად აუცილებელია დაფინანსების მოძიება და შესაბამისი დონორული მხარდაჭერის პროექტების დროული განხორციელება.

კონსოლიდირებული სტატუსანგარიში

N	მიზანი/ამოცანა	გავლენის/ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	საბოლოო მაჩვენებელი	მაჩვენებელი 2023 წლისთვის	მაჩვენებელი საანგარიშო წლისთვის	პროგრესი (აღწერა)
1	ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება	ცენტრალურ ზონაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების (PM ₁₀ , PM _{2.5}) საშუალო წლიური კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას	1	0	1	2	<p>ცენტრალურ ზონაში საანგარიშო სრული პერიოდის განმავლობაში განთავსებული იყო ჰაერის ხარისხის მონიტორინგის 2 ავტომატური სადგური, რომელიც უწყვეტ რეჟიმში ზომავდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებებთან, მათ შორის მყარი ნაწილაკების (PM₁₀, PM_{2.5}) კონცენტრაციას. სადგური განთავსებულია ქ. რუსთავში, ბათუმის ქუჩაზე, რომლის მიხედვით PM₁₀-ის საშუალო წლიური კონცენტრაციამ შეადგინა 42.8 მკგ/მ³, ხოლო PM_{2.5}-ისამ - 24 მკგ/მ³. აღნიშნული მაჩვენებლები აჭარბებს PM₁₀-ის ზღვრულად დასაშვებ ნორმას (40 მკგ/მ³) 7%-ით, ხოლო PM_{2.5}-ის ნორმას (20 მკგ/მ³) - 20%-ით, თუმცა წარმოადგენს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას 2022 წლის, საბაზისო მონაცემებთან (PM₁₀ - 55 მკგ/მ³, PM_{2.5} - 27 მკგ/მ³) შედარებით.</p> <p>ქ. რუსთავში, N20 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ სადგურზე ასევე PM₁₀-ის საშუალო წლიური კონცენტრაციამ შეადგინა 41.2 მკგ/მ³, ხოლო PM_{2.5}-ისამ - 18.2 მკგ/მ³. აღნიშნული მაჩვენებლები აჭარბებს PM₁₀-ის ზღვრულად დასაშვებ ნორმას 3%-ით, ხოლო PM_{2.5}-ის კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვები ნორმის ფარგლებშია,</p> <p>ცენტრალურ ზონაში NO₂-ის საშუალო წლიური კონცენტრაციამ 2024 წელს გადააჭარბა ნორმას (40 მკგ/მ³) მონიტორინგის ოთხ პუნქტზე, კერძოდ ქ. რუსთავის ორ და ქ. ხაშურისა და მარნეულის თითო-თითო ინდიკატორული დაკვირვების პუნქტებზე. ქ. რუსთავში აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციამ შეადგინა 58 მკგ/მ³ და 52 მკგ/მ³, ქ. მარნეულში - 61 მკგ/მ³, ხოლო ქ. ხაშურში - 51 მკგ/მ³.</p> <p>ცენტრალურ ზონაში განთავსებულ მონიტორინგის პუნქტებზე დაფიქსირებული SO₂-ის, CO-ს და O₃-ის, საშუალო კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმას, ხოლო Pb-ის, Cd-ის, As-ის, Ni-ის, C₆H₆ -ის და C₂₀H₁₂-ის კონცენტრაციის დადგენის მიზნით ხორციელდება მიღებული სიჩქების ანალიზი.</p>
		ცენტრალურ ზონაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც NO ₂ -ის საშუალო წლიური კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას	4	3	4	4	
		ცენტრალურ ზონაში მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც SO ₂ -ის, CO-ს, O ₃ -ის, Pb-ის, Cd-ის, As-ის, Ni-ის, C ₆ H ₆ -ის და C ₂₀ H ₁₂ -ის საშუალო კონცენტრაცია აჭარბებს ნორმას	0	0	0	0	

1.1	ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება	ცენტრალურ ზონაში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მყარი ნივთიერებების მასა	18,340 ტონა	6,245 ტონა	8,800 ტონა	9,080 ტონა	<p>სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის მყარი ნივთიერებების გაფრქვევა მნიშვნელოვნად, დაახლოებით 50%-ით შემცირდა და 9,080 ტონა შეადგინა. აღნიშნული ძირითადად წარმოადგენს ადგილზე არსებული სამრეწველო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების უკეთ აღსრულებისა და აირმტვერდამჭერი სისტემების (ფილტრები) გამართვის შედეგს, რასაც თავის მხრივ ხელი შეუწყო გემის ფარგლებში საზედამხედველო აქტივობების განხორციელებამ. ამ ეტაპზე ცენტრალურ ზონაში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტ თვითმონიტორინგს დაქვემდებარებული მოქმედი 35 საწარმოდან სამინისტროს ელექტრონულ სისტემაში ჩართულია 22 საწარმო. იმისთვის რომ სრულად მიღწეულ იქნას 1.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორი, საჭიროა ჰაერში გაფრქვეული ნივთიერებების მასა კიდევ შემცირდეს დაახლოებით 2 750 ტონით, რისთვისაც აუცილებელია დაწესებული საკანონმდებლო რეგულაციების აღსრულების სისტემის შემდგომი გაუმჯობესება და მსხვილი საწარმოების მხრიდან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულება.</p>
1.2	ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან დაბინძურების შემცირება	ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტიდან აზოტის დიოქსიდის (NO ₂) გაფრქვევების წლიური რაოდენობა შეწონილი ავტომობილების რაოდენობასთან	9.2 კგ/ერთ	7.7 კგ/ერთ	8.5 კგ/ერთ	8.8 კგ/ერთ	<p>მოცემულია მაჩვენებელი 2023 წლისათვის. 2024 წლის მაჩვენებელი გამოითვლება 2026 წლისთვის. დაზუსტდა საბაზისო 2022 წლის მაჩვენებელიც. მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის 2025 წლის ანგარიშის საფუძველზე დაკორექტირდა საბაზისო და საბოლოო მაჩვენებლები მათ შორის პროპორციული განსხვავების შესაბამისად.</p> <p>2023 წელს ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა 2.4%-ით გაიზარდა, თუმცა აზოტის ოქსიდების გაფრქვევების რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 3%, რაც ძირითადად განპირობებულია 2023 წელს ავტომობილთა გაზრდილი მოხილობითა და საწვავის გაზრდილი მოხმარებით.</p> <p>2024 წელს ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა 1.1%-ით დაახლოებით 3.1 ათასი ავტომობილით გაიზარდა, რომელთა შორის დაახლოებით 1.1 ათასი ავტომობილი იყო სუფთა (ჰიბრიდები, ელექტრო). ცენტრალური ზონის ავტოპარკში სუფთა ავტომობილების წილი 2023-2024 წლებში 5.6%-დან 5.9%-მდე გაიზარდა.</p>

1.3	ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესება	ცენტრალურ ზონაში დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ხორციელდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგი	1	4	1	1	2023 წლის 12 ოქტომბერს ქ. რუსთავში განთავსდა დამატებით ერთი ახალი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ავტომატური სადგური N20 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე. შესაბამისად, 2024 წლისთვის ცენტრალურ ზონაში განთავსებულია 2 ავტომატური სადგური, ორივე ქ. რუსთავში.
1.4	ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	ცენტრალურ ზონაში ჩატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების მონაწილეთა რაოდენობა	230	500	659	1076	ცენტრალურ ზონაში ჰაერის დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარდა ორი სახის ტრენინგკურსი (417 მონაწილე).

#	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა	სტატუსი	პროგრესი	დეტალური პროგრესი	მოკლე აღწერა	ფერი	ბიუჯეტი 2023-2025 (ლ)	ბიუჯეტის შესრულება 2024	გამოწვევები, რისკები, რეკომენდაციები
1.1.1	გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული იმ საქმიანობების იდენტიფიცირება, რომლებიც დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ და მათთვის კონკრეტული, სავალდებულოდ შესასრულებელი ქმედებების დადგენა მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირების მიზნით	დამტკიცებული ნორმატიული აქტი გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის #17 ცვლილების შეტანის შესახებ	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი	2024 წლის II კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	50%	50%	ჩატარდა ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის შედეგად ჰაერის დაბინძურების შემცირების მსოფლიოში არსებული შემარბილებელი პრაქტიკის მოკვლევა. აღნიშნული მოკვლევის საფუძველზე, შესაბამისი საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით, შემუშავდა „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი, რომლის შიდა განხილვა მიმდინარეობს.		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი	

1. 1. 2	მშენებლობისა და ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესში მყარი ნაწილაკების გაფრქვევების შემცირების მიზნით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობის გააქტიურება	ჩატარებული სულ მცირე 90 ინსპექტირება ქ. რუსთავში	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	84%	მუნიციპალური ინსპექციის უფლებამოსილებას განეკუთვნება ასკ 152 (6) და 152 (7) პრიმა მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტებზე რეაგირება. აღნიშნული ფაქტების შემცირების მიზნით, სამსახურმა ქალაქ რუსთავის მასშტაბით უზრუნველყო პრევენციული ღონისძიებების გატარება, კერძოდ: განხორციელდა ყველა იმ ფიზიკური და იურიდიული პირების გაფრთხილება, რომლებიც აწარმოებენ ამტვერებადი მასალის ტრანსპორტირებას, ამტვერებადი მასალის შეფუთვის გარეშე განთავსებას. სიტყვიერი გაფრთხილების საფუძველზე, აღმოფხვრილი იქნა გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტები, ჩატარდა 55 ინსპექტირება	ადმინი სტრაცი ული ხარჯი	ადმინის ტრაციუ ლი ხარჯი	
		ჩატარებული სულ მცირე 36 ინსპექტირება ბოლნისის მუნიციპალიტეტში	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია				საანგარიშო პერიოდში ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობისა და ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესში მყარი ნაწილაკების გაფრქვევის შემცირების მიზნით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე ჩატარდა 24 ინსპექტირება.			
		ჩატარებული სულ მცირე 45 ინსპექტირება მარნეულის მუნიციპალიტეტში	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია				მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის განყოფილების მიერ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ დასახლებებში, მშენებლობისა და ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესში მყარი ნაწილაკების გაფრქვევების შემცირების მიზნით, დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე, განხორციელდა 60 ინსპექტირება, რომელიც იყო პრევენციული ხასიათის.			
1. 1. 3	ცენტრალურ ზონაში არსებული საწარმოების ინსპექტირების, მათ შორის შემოწმებების რაოდენობის გაზრდა	წელიწადში ჩატარებული სულ მცირე 200 ინსპექტირება, მათ შორის ქ. რუსთავში ჩატარებული სულ მცირე 80 ინსპექტირება წელიწადში ჩატარებული	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	79%	79%	2024 წელს ცენტრალურ ზონაში განხორციელდა 266 ობიექტის 346 ინსპექტირება, მათ შორის, გეგმიური 20 შემოწმება. მათგან, განხორციელდა ქ. რუსთავში განთავსებული 31 ობიექტის 59 ინსპექტირება. 2024 წელს განხორციელდა გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული ბენზინგასამართი სადგურების (24), ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი ობიექტების (32), შინაური ცხოველების	ადმინი სტრაცი ული ხარჯი	ადმინის ტრაციუ ლი ხარჯი

		<p>„გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მტავრობის 2014 წლის 3 იანვრის N17 დადგენილებას დაქვემდებარებული სულ მცირე 2 სექტორის საქმიანობის სუბიექტების მიზნობრივი ინსპექტირება</p>						ფერმებისა და სასაკლაოების (30) მიზნობრივი ინსპექტირება.			
1. 1. 4	ცენტრალურ ზონაში გზის საფარის გაუმჯობესება	ახლად დაგებული და აღდგენილი გზები 134,000 მ ² ფართობზე ქ. რუსთავში	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	66%	53%	<p>საანგარიშო პერიოდში ქ. რუსთავში მიმდინარეობდა 6 საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ფარგლებში ჯამში მოწყობილია 68 786 მ² ფართობზე. კერძოდ, სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ლოკაციებზე:</p> <p>1) აფხაზეთის ქუჩის რეაბილიტაციის, VII და VIII მკ/რ-ებს შორის არსებული ქუჩის რეაბილიტაციის, ნ. ლომოურის ქუჩისა და VII და VIII მკ/რ-ების დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოები - 21 474 მ².</p> <p>2) ტაშკენტის ქუჩის რეაბილიტაცია - 10242 მ²</p> <p>3) გზის ორმული სამუშაოები (მოცულობითი) - 14500 მ²</p> <p>4) გაგრინის N2, ლომოური და ახმეტელის დამაკავშ. მე-12 მ/რ N9 გზის საფარის რეაბილიტაცია - 5570 მ²</p> <p>5) მესხიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია - 10000 მ²</p> <p>6) გრიგოლ ხანძთელის ქუჩის რეაბილიტაცია - 7000 მ²</p>		14100000	10318214.98

ახლად დაგებული და აღდგენილი გზები 40,000 მ² ფართობზე ბოლნისის მუნიციპალიტეტში

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია

100%

საანგარიშო პერიოდში ბოლნისის მუნიციპალიტეტში განხორციელებულია საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში მოწყობის საფარი 13 413 მ² ფართობზე. კერძოდ, სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ლოკაციებზე:

1. ქ. ბოლნისში დიმა ლაზარეიშვილის ქუჩის შიდა საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები (I-მონაკვეთი) - 250 მ²
2. ქ. ბოლნისში სიონის ქუჩის შიდა საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები - 215 მ²
3. ქ. ბოლნისში იაკობ ხუცესის ქუჩის შიდა საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები (I-ეტაპი) - 270 მ²
4. ქ. ბოლნისში ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე N120-დან N148-მდე გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - 280 მ².
5. ქალაქ ბოლნისში იოანე ბოლნელის ქუჩიდან მდინარე მამავერას ხიდამდე გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - 340 მ²
6. სოფ. ტანძიაში საბა დადვანის ქუჩაზე გზის მოწყობის სამუშაოები - 420 მ²
7. სოფ. ტანძიაში გიორგი მარგიანის სახელობის ქუჩაზე გზის მოწყობის სამუშაოები - 440 მ²
8. სოფ. ქვემო არქევანიდან სოფ. ხატავეთისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები (II-ეტაპი) - 400 მ²
9. სოფ. მამხუტში შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 350 მ²
10. დაბა თამარისში შიდა გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (1-მონაკვეთი) - 260 მ²
11. სოფ. მუშევანში შიდა საავტომობილო გზის მოწყობის მე-4 ეტაპის სამუშაოები - 600 მ².
12. სოფ. ნახიდურში შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მონაკვეთი N1) - 350 მ²
13. ქ. ბოლნისში არსენ იყალთოელის ქუჩის შიდა საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები (2-მონაკვეთი) - 280 მ².
14. ქ. ბოლნისში ვახტანგ გორგასლის და თამარ მეფის ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები (მე-3 ეტაპი) - 65 მ².
15. ქ. ბოლნისში რობაქიძის ქუჩაზე გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - 280 მ².
16. ქ. ბოლნისში იმერეთი, ოჩხიკიძის და ბაგრატიონის (ბაგრატიონის N13 დან

7284800

7519165

							<p>წისქვილის ქუჩა N1- მდე) ქუჩების გზის მოწყობის სამუშაოები - 320 მ²</p> <p>17. სოფ. ჭაპალასა და სამტრედოს შიდა საავტომობილო გზის მოწყობის მე-3 ეტაპის სამუშაოები - 400 მ²</p> <p>18. ქ. ბოლნისში რაფიელ ერისთავის ქუჩის შიდა საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები (2-მონაკვეთი) - 100 მ².</p> <p>19. სოფ. ბალიჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - 6686 მ²</p> <p>20. დაბა კაზრეთისა და სოფ. ბალიჭის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოების (მე -2 ეტაპი) - 252 მ²</p> <p>21. ქ. ბოლნისში, წმინდა ნინოს ქუჩაზე N38-დან N152-მდე გზის რეაბილიტაციის დასრულების სამუშაოები - 229 მ²</p> <p>22. სოფ. ფოლადაურში მდინარის კალაპოტში მოქცევის და დაზიანებული საავტომობილო გზის აღდგენითი სამუშაოები - 256 მ²</p> <p>23. სოფ. ფოცხვერიანში შიდა გზის მოწყობა (ბეტონის გზის გაგრძელება) - 185 მ²</p> <p>24. სოფ. ძეძვნარიანში შიდა გზის მოწესრიგება - 184 მ²</p>			
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

		ახლად დაგებული და აღდგენილი გზები 62,000 მ ² ფართობზე მარნეულის მუნიციპალიტეტში	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია				84%	2024 წლის საანგარიშო პერიოდში, მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მუნიციპალიტეტის 23 დასახლებაში (ქ. მარნეულში აღმაშენებლის ქუჩა; სოფლები: საბირქენდი; სადახლო; ხოჯორნი; მეწამულა; დიოკნისი; ქუთლიარი; ლეკბადინი; ამბაროვკა; ახკერპი; წერეთელი; საიმერლო; ახისქენდი; თაზაქენდი; გაჯისაქენდი; თამარისი; შულავერი; ალგეთი; დაშტაფა; იმირი; შაუმთან; ქვემო სარალი; კაჩაგანი) განხორციელდა გზის საფარის გაუმჯობესების სამუშაოები, რომლის ფარგლებში ახლად დაგებული და აღდგენილი იქნა 23 561 მ ² გზის საფარი და ყველა პროექტი დასრულებულია. აგრეთვე, 2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის 21 სოფელში (კუმჭუ; ბაითალო; ულაშლო; გიულბადი; ცოფი; ჯანხოში; თაზაქენდი (ალგეთის); გაჯისაქენდი; ყუდრო; ქვემო სარალი; ზემო სარალი; ენიქენდი; ამბაროვკა; ქეშალო; ხანჯიგაზლო; ბურმა; თაზაქენდი (სადახლოს); მოლაოლი; ხოხმელი; ჩანახჩი; ვერხვიანი) რეაბილიტირდა 10 279 ² გზის საფარი. შედეგად, სულ საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა 33 840 მ ² . გზის საფარი.	31197700	13692743	
1. 1. 5	ქ. რუსთავში სველი წესით დასუფთავებული ქუჩების სიგრძის გაზრდა	ქ. რუსთავში ყოველწლიურად სველი წესით დასუფთავებული ქუჩები სულ მცირე 5,000 კმ სიგრძეზე	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	33%	33%	სველი წესით ქუჩების დამუშავების პროცესი 2024 წლის მარტიდან მიმდინარეობდა რეგულარულად 20 კმ სიგრძეზე შემდეგ ქუჩებზე: მშვიდობის, გაგარინის, თბილისის, ლეონიძის. (სვერის ირგვლივ), მოდებამის, ქუთაისის, მე-18 და მე-19 მრ-ები, შარტავას გამზირი (სასტუმროდან-შემოსასვლელამდე), ლებანიძის ქუჩა. წლის მეორე ნახევრიდან სველი წესით ქუჩების დამუშავების პროცესი მიმდინარეობდა რეგულარულად 30 კმ სიგრძეზე დამატებით ლომოურის ქ., ძველი და ახალი რუსთავის დამაკავშირებელი ხიდი, აფხაზეთის და ლომოურის ქ. დამაკავშირებელი ქუჩებზე. ჯამში დამუშავდა ქუჩები სულ მცირე 5000 კმ სიგრძეზე.	75000	14699	

1. 1. 6	რუსთავის ჭალის ტყის აღდგენის გეგმის მომზადება	მომზადებულია რუსთავის ჭალის ტყის აღდგენის გეგმა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი	2023 წლის IV კვარტალი	განხორციელდა დაგვიანებით	100%	100%	შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით შემუშავდა რუსთავის ჭალის ტყის აღდგენის გეგმა შემუშავდა 250 ჰექტარი ტერიტორიისთვის (მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპირო). ინიციატივა მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ნიადაგის დაცვას, კლიმატის რეგულირებას და ადგილობრივი მოსახლეობისთვის რეკრეაციული შესაძლებლობების გაუმჯობესებას. გეგმა ითვალისწინებს ჭალის ტყისთვის დამახასიათებელი სახეობების აღდგენას, რაც ხელს შეუწყობს ეკოსისტემის გაუმჯობესებას, ურბანული გარემოს გაჯანსაღებას და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას.		59999	0	
1. 1. 7	ქ. რუსთავის მომიჯნავე იაღლუჯის მთის ფერდობის ნაწილობრივი გატყიანებისთვის ნერგების დარგვა	დარგულია სულ მცირე 1000 ძირი ხე-მცენარე	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	12%	12%	საანგარიშო პერიოდში იაღლუჯის მთის ფერდობზე ხე-მცენარეების დარგვა არ მომხდარა.		31500		
1. 1. 8	მარნეულის მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებულ / აშენებულ აკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში (საბავშვო ბაგა-ბაღებში) შემის მოხმარებიდან ამოღება უფრო სუფთა ენერჯის გამოყენების გზით	მარნეულის მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებულია / აშენებულია 3 აკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (საბავშვო ბაგა-ბაღი) და დამონტაჟებულია ენერჯის ტენერჯიაზე (მაგ. ბუნებრივ გაზზე, თხევად საწვავზე) მომუშავე გათბობის სისტემა	საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	40%	40%	საანგარიშო პერიოდში მარნეულის მუნიციპალიტეტის ქ. მარნეულში, სოფელ წერეთელში და სოფელ შულავერში მიმდინარეობდა 180 ბავშვზე გათვლილი 3 საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები. შესრულებულია სამუშაოების დაახლოებით- 40 %.		10416000	5163164.99	პროექტების დროს მუნიციპალიტეტის მხრიდან მოხდა ადგილმონაცვლეობა, შესაბამისად, დაგვიანდა პროექტების ჩაბარების თარიღი. პროექტის დასრულება მოხდება 2025 წლის აგვისტოს თვეში.

1. 2. 1	ფეხით გადაადგილების დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა ცენტრალურ ხონაში	განახლებული ტროტუარი 60,000 მ ² ფართობზე ქ. რუსთავში	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	39%	35%	<p>საანგარიშო პერიოდში ქ. რუსთავში მიმდინარეობდა ფეხით გადაადგილების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების 8 პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოეწყო ფეხით გადაადგილების ინფრასტრუქტურა 21 258 მ² ფართობზე. კერძოდ სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ლოკაციებზე:</p> <p>1) აფხაზეთის ქუჩის რეაბილიტაციის, VII და VIII მკ/რ-ებს შორის არსებული ქუჩის რეაბილიტაციის, ნ. ლომოურის ქუჩისა და VII და VIII მკ/რ-ების დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოები - 5530 მ².</p> <p>2) ტაშკენტის ქუჩის რეაბილიტაცია - 2906 მ².</p> <p>3) ორმული სამუშაოები (მოცულობითი) - 2899 მ².</p> <p>4) გაგრინის N2, ლომოური და ახხმეტელის დამაკავშ. მე-12 მ/რ N9 რეაბილიტაცია - 171 მ².</p> <p>5) მესხიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია - 1000 მ²</p> <p>6) გრიგოლ ხანძთელის ქუჩის რეაბილიტაცი - 2000 მ².</p> <p>7) რუსთაველის ქუჩის ტროტუარების რეაბილიტაცი - 2800 მ².</p> <p>8) გმირთა მოედნიდან რუსთავის ცენტრალურ პარკამდე, ტროტუარების, ველობილიკების, სარწყავი და გარე განათების სისტემების რეაბილიტაცია - 3952 მ².</p>		4400000	3578343.57	
---------------	---	---	-----------------------------------	-----------------------	---------------------------------	-----	-----	---	--	---------	------------	--

		განახლებული ტროტუარი 4,000 მ² ფართობზე ბოლნისის მუნიციპალიტეტში	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია				100%	სააგარიშო პერიოდში ბოლნისის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტროტუარის მოწყობის სამუშაოები 1000 მ2 ფართობზე.				
1. ველოსიპედით გადაადგილების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ქ. რუსთავში	მოწყობილი ახალი ველობილიკები 6,500 მ² ფართობზე	მოწყობილი ველოსიპედის პარკირების სულ მცირე 45 ახალი პუნქტი	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	51%	51%	1) აფხაზეთის ქუჩის რეაბილიტაციის, VII და VIII მკ/რ-ებს შორის არსებული ქუჩის რეაბილიტაციის, ნ. ლომოურის ქუჩისა და VII და VIII მკ/რ-ების დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაციის ფარგლებში მოეწყო ველობილიკები 2303 მ² ფართობზე. 2) ტაშკენტის ქუჩის რეაბილიტაციის ფარგლებში მოეწყო ველობილიკები - 2115 მ² ფართობზე; 3) გმირთა მოედნიდან რუსთავის ცენტრალურ პარკამდე, ტროტუარების, ველობილიკების, სარწყავი და გარე განათების სისტემების რეაბილიტაციის ფარგლებში მოეწყო ველობილიკებია - 1628 მ² ფართობზე.	705000	463512.38		

1. 2. 3	ცენტრალურ ზონაში მუნიციპალური ავტობუსების გაჩერებების რეაბილიტაცია/კეთილმოწყობა	დამატებით რეაბილიტირებული/კეთილმოწყობილი სულ მცირე 58 გაჩერება ქ. რუსთავში	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	76%	74%	ქალაქ რუსთავში 2024 წელს რეაბილიტირებულ ან ახლად დადგმულ იქნა 27 ავტობუსის გაჩერება		200000	48000	
		დამატებით რეაბილიტირებული/კეთილმოწყობილი 3 გაჩერება ბოლნისის მუნიციპალიტეტში	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია				100%	სააგარიშო პერიოდში ავტობუსის გაჩერებების რეაბილიტაცია ბოლნისის მუნიციპალიტეტში არ განხორციელებულა.		60000		
		დამატებით რეაბილიტირებული/კეთილმოწყობილი 2 გაჩერება მარნეულის მუნიციპალიტეტში	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია				100%	2024 წლის პერიოდში, მარნეულის მუნიციპალიტეტის ორ სოფელში (ილმაზლო; სეითგოჯალო) მოეწყო ავტობუსების გაჩერება.		40000	31620	
1. 2. 4	ელექტრომობილების დამტენი ინფრასტრუქტურის მოწყობა ქ. რუსთავში	დამატებით განთავსებული 8 დამტენი მოწყობილობა	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	25%	25%	ქ. რუსთავში შარტავას გამზირის N23ა და მე-12 მკრ-ში ახალაშენებული კორპუსების ღია პარკინგებზე დამონტაჟდა 2 ერთეული ელექტრომობილების დამტენი მოწყობილობა.		200000		ღონისძიება განხორციელდა კერძო ინვესტიციით, რომლის ოდენობა უცნობია.
1. 2. 6	ცენტრალურ ზონაში საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლის დანერგვა	გახსნილი სულ მცირე ერთი შემოწმების პუნქტი	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	2025 წლის II კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	20%	20%	საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლის დანერგვის მიზნით განხორციელდა ცვლილებები „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში . სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში შეიქმნა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის შემოწმების პუნქტის მოწყობის მიზნით მიმდინარეობს შესყიდვის პროცედურები.	\	2500000	0	

1. 2. 7	საავტომობილო საწვავის ხარისხის კონტროლის განხორციელება ცენტრალურ ზონაში	ცენტრალური ზონის ფარგლებში ყოველწლიურად ხდებული საწვავის (ბენზინი, დიზელი) სულ მცირე 20 სინჯი და ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზი	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხდევლობის ს დეპარტამენტი	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდ	68%	68%	2024 წელს ცენტრალური ზონის ფარგლებში საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შერჩევითი წესით განხორციელდა ბენზინისა და დიზელის საწვავის სინჯების აღებისა და ლაბორატორიული კვლევის პროცედურები. ჯამში 8 სინჯი აღებული იქნა 3 ობიექტის 8 რეზერვუარიდან.		120000	16792.5	
1. 2. 8	ცენტრალურ ზონაში ახალი მწვანე ნარგავების განთავსება	ქ. რუსთავში დარგული 3,350 ძირი ხე-მცენარე	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდ	86%	100%	ქ. რუსთავში, სხვადასხვა ლოკაციაზე, 2024 წლის განმავლობაში დაირგო 1326 ძირი ხე- მცენარე შემდეგ ლოკაციაზე: ლერმონტოვის ქ. კულტურის და დასვენების პარკი, მე-19 მ/რ, მეგობრობის და შარტავას გამზ., ების შუა გამყოფი ზოლი, კოსტავას გამზ., მეგობრობის გამზ. (იუსტიციის მ/ტ), კოსტავას გამზ., შარტავას გამზ., ლეონიძის სკვ., ქ. რუსთავის შემოსასვლელი (ქოთნები), აფხაზეთის ქ., მუმლაძის ქ. ტაშკენტის ქ., მე-14 მ/რ, ლომოურის და აფხაზეთის ქუჩის დამაკავშირებელი ქ., მე-7 მ/რ, მრგვალი ბაღი, მე-12 მ/რ N19-22, თოდრიის წრე, მესხიშვილის ქ.		167500	0	ნერგები გამოყვანილი იყო ადგილობრივი სანერგედან, ამიტომაც ბიუჯეტის ხარჯვა არ მომხდარა.
		ბოლნისის მუნიციპალიტეტში დარგული 1,000 ძირი ხე-მცენარე	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია				30%	ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წელს ხე-მცენარეების დარგვა არ მომხდარა		25000	0	
		მარნეულის მუნიციპალიტეტში დარგული 500 ძირი ხე-მცენარე	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია				100%	2024 წლის მონაცემებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებულმა ა(ა)იპ „სუფთა მარნეულმა“(150) და შპს „მარნეულის ავტოპარკმა“(50) საკუთარი ბიუჯეტიდან შეიძინეს 200 ძირი მწვანე ნარგავი, რომელიც დაირგო მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე. აგრეთვე, ქალაქ მარნეულის ჯანდარის დასახლებაში და რუსთაველის 81-ში არსებული სკვერების გამწვანებისთვის, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან შექმნილი იქნა 260 ძირი ნარგავი.		20000	8000	

1. 2. 9	ცენტრალურ ზონაში ახალი რეკრეაციული ზონების შექმნა და არსებული რეკრეაციული ზონების რეაბილიტაცია	ქ. რუსთავში მოწყობილი სულ მცირე 3 ახალი რეკრეაციული ზონა და რეაბილიტირებული სულ მცირე 4 რეკრეაციული ზონა	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	განხორციელდა	100%	საანგარიშო პერიოდში ქ. რუსთავში მოეწყო და რეაბილიტაცია ჩატარდა 7 რეკრეაციულ ზონას შემდეგ ლოკაციებზე: 1) მე-14 მ/რ N46,47,48 კორპუსების ეზოში სკვერი - 1400 მ ² . 2) მე - 7 მ/რ, N15- თან არსებული სკვერი - 570 მ ² . 3) მე-8 მკ/რ-ში N7-ის მიმდებარედ არსებული სკვერი - 735 მ ² . 4) მეგობრობის გამზირი #1-სა და #2-ს შორის არსებული სკვერი (გონაშვილი) - 4600 მ ² . 5) მე-12 მრ/წში სკვერი - 5000 მ ² . 6) მე-16 მ/რ N5 კორპუსის მ/ტ-ზე საბავშვო, დასასვენებელი და საპარკინგე სივრცე - 520 მ ² . 7) გომელაურის ქუჩის №2 კორპუსის მ/ტ-ზე არსებული საბავშვო სივრცე - 420 მ ² . აგრეთვე დაიგო გაზონი შემდეგ ლოკაციებზე: 1) ხანძთელის ქუჩა - 1600 მ ² . 2) აფხაზეთის ქუჩის რეაბილიტაციის, VII და VIII მკ/რ-ებს შორის არსებული ქუჩის რეაბილიტაციის, ნ. ლომოურის ქუჩისა და VII და VIII მკ/რ-ების დამაკავშირებელი გზები - 4000 მ ² 3) ტაშკენტის ქუჩა - 2550 მ ² 4) გმირთა მოედნიდან რუსთავის ცენტრალურ პარკამდე - 6894 მ ² 5) რუსთაველის ქუჩა - 2600 მ ² 6) კულტურისა და დასვენების პარკი - 600 მ ²	11000000	2096280.82
	მარნეულის მუნიციპალიტეტში მოწყობილი და რეაბილიტირებული სულ მცირე 6 რეკრეაციული ზონა	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია	100%	საანგარიშო პერიოდში, მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან რეაბილიტირდა და მოეწყო 11 რეკრეაციული სივრცე (ქ. მარნეული ჯანდარის დასახლებაში 2; რუსთაველის ქუჩა 81; ქ. მარნეულის 20 იან ვრის ქუჩა; აღმაშენებლის ქუჩა 23; შოთა რუსთაველის ქუჩა 84; რუსთაველის ქუჩა 51; ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა; სოფლები: ბეთარაბში; ალგეთი) და ჯამში დაიხარჯა - 1 924 209 ლარი. ხოლო, 2024 წლის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 10 დასახლებაში (კიროვკა; მეწამულა; ზემო ყულარი; კირიხლო; ხოჯორნი; არაფლო; ალგეთის მევენახეობა; წერეთელი; დიდი ბეგლიარი; ალავარი) მოეწყო 11 სკვერი, რომელმაც ჯამში შეადგინა - 298 800 ლარი.	2605000	2223009			

								სულ 2024 წლის საანგარიშო პერიოდში , შეიქმნა და რეაბილიტირდა 22 რეკრეაციული ზონა მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. თვითმმართველობის მხრიდან, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რეკრეაციული ზონების რეაბილიტირებული რაოდენობა უკვე შესრულებულია, თუმცა ყოველწლიურად განხორციელდება ანგარიშის წარდგენის ნაწილში აღნიშნული მონაცემების განახლება.				
1. 3. 1	ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგის ქსელის გაფართოება	განთავსებული სულ მცირე 4 ახალი ავტომატური სადგური (ქ. რუსთავში, ქ. ბოლნისში, ქ. გორში და სოფ. თაზაქენდში)	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	25%	25%	ევროკავშირის პროექტის „ჰაერის ხარისხი მოქალაქეთა უკეთესი ჯანმრთელობისთვის“ ფარგლებში მიმდინარეობდა ქ. ბოლნისში, გორში და სოფ. თაზაქენდში განსათავსებული სადგურებისთვის შესაბამისი ადგილის მოძიება და მომზადდა ამ სადგურების შესყიდვისთვის საჭირო ტექნიკური დავალება.	2140196	0		
1. 3. 2	ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გრავიმეტრული ხელსაწყოების რაოდენობის გაზრდა	ცენტრალურ ზონაში განთავსებული სულ მცირე 4 ახალი გრავიმეტრული ხელსაწყო (რუსთავში, ბოლნისში, გორში და თაზაქენდში)	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	25%	25%	ევროკავშირის პროექტის „ჰაერის ხარისხი მოქალაქეთა უკეთესი ჯანმრთელობისთვის“ ფარგლებში მომზადდა ქ. ბოლნისში, გორში და სოფ. თაზაქენდში განსათავსებელი გრავიმეტრული ხელსაწყოების შესყიდვისთვის საჭირო ტექნიკური დავალება.	781662	0		
1. 3. 3	ცენტრალური ზონის ჰაერის ხარისხის მოდელის შემუშავება	შემუშავებულია ცენტრალური ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მოდელი	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	2025 წლის IV კვარტალი	არ დაწყებულა	0%	0%	აქტივობის განხორციელება დაგეგმილია ევროკავშირის პროექტის „ჰაერის ხარისხი მოქალაქეთა უკეთესი ჯანმრთელობისთვის“ ფარგლებში, რომელიც დაიწყო საანგარიშო პერიოდში.	100000	0	გამოწვას წარმოადგენს ჰაერის ხარისხის მოდელირების სფეროში კვალიფიკაციის ნაკლებობა, რისთვისაც საჭიროა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების გადამზადება	

1. 3. 4.	ქ. რუსთავში მყარი ნაწილაკებით დაბინძურების წილის დადგენის შესახებ კვლევის ჩატარება	ჩატარებული კვლევა ქ. რუსთავში მყარი ნაწილაკებით დაბინძურების წილის დადგენის შესახებ	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	2025 წლის IV კვარტალი	არ დაწყებულა	0%	0%	აქტივობის განხორციელების მიზნით მომზადდა და შეედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარედგინა დონორული მხარდაჭერის პროექტის განაცხადი. განაცხადის მსვლელობა შეედეთის სამეფოს გადაწყვეტილებით ამ ეტაპზე შეჩერებულია.	200000	0	შეზღუდული ფინანსური რესურსებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობის გამო აქტივობის განხორციელება დამოკიდებულია დონორული დაფინანსების მოპოვებასა და საერთაშორისო ექსპერტების მოძიებაზე.
1. 3. 6.	ქ. რუსთავის მოსახლეობის ექსპოზიციის შეფასება მავნე ნივთიერებების (PM10, PM2.5, NO2) ჰარბი კონცენტრაციებისადმი	შემუშავებული კვლევის პროტოკოლი და ჩატარებული კვლევა	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	2024 წლის II კვარტალი	განხორციელდა დაგვიანებით	100%	100%	ევროკავშირის დამოხილების პროექტის „ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების პრაქტიკის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოსთვის“, საფრანგეთის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტიტუტის ჩართულობით ჩატარებული იქნა ქ. რუსთავის 30+ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების საპილოტე კვლევა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტის - AirQ+ გამოყენებით. კვლევის შედეგები წარედგინა დაინტერესებულ პირებს 2024 წლის 19 თებერვალს ჰიბრიდულ ფორმატში.	208000	0	
1. 3. 7.	ჰაერის დაბინძურების მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების ინდიკატორების კომპენდიუმის შემუშავება	კომპენდიუმი დამტკიცებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაიდლაინის სახით	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	2025 წლის IV კვარტალი	არ დაწყებულა	0%	0%	არ დაწყებულა	10000	0	აქტივობის შესრულება განსაზღვრულია მიმდინარე წელს (2025) შესაბამისი დაფინანსების არსებობის შემთხვევაში

1. 4.	გარემოსდაცვითი, მათ შორის ჰაერის დაცვის საკითხებზე საინფორმაციო და საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება	ჩატარებული სულ მცირე 10 ღონისძიება, მ.შ. 6 შეხვედრა და 4 სხვა სახის აქტივობა	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	40%	40%	გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით პროექტის „პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში VET (ფაზა3)“ ფარგლებში, შევიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა მედიასამუალებების წარმომადგენლებთან , სადაც მონაწილეები გაეცნენ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად გამოწვევებს და ძირითად დამბინძურებლებს (23 მონაწილე).	12000	450
1. 4. 2	ჰაერის დაცვის თემატიკასთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება	დაბეჭდილი და გავრცელებული 1000 ცალი საინფორმაციო მასალა	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	87%	87%	პროგრამა „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ მიზნად ისახავს ბაღის აღმზრდელის/მეთოდისტების ცნობიერების ამაღლებას გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით ტრენინგების ჩატარების გზით. განახლებული პროგრამა ფარავს ისეთ თემებს, როგორებიცაა -ჰაერის დაცვა დაბინძურებისგან, ატმოსფერული ჰაერი, ატმოსფერული ჰაერის დამბინძურებლები, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი და დაბინძურებული ჰაერის საფრთხეები. და ა.შ 2024 წელს ჯამში ცენტრალური ზონიდან აღნიშნული ტრენინგკურსით გადამზადებულ სკოლამდელი აღზრდის 268 აღმზრდელს/მეთოდისტს გადაეცა შესაბამისი სახელმძღვანელო.	10000	23200
1. 4. 3	გარემოსდაცვით საკითხებზე, მათ შორის ჰაერის დაბინძურების თემაზე ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის	ჩატარებული 5 ტრენინგი	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	2025 წლის IV კვარტალი	განხორციელდა	100%	100%	1. პროგრამა „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ მიზნად ისახავს ბაღის აღმზრდელის/მეთოდისტების ცნობიერების ამაღლებას გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით ტრენინგების ჩატარების გზით. პროგრამის ერთ-ერთი თავი - კლიმატის ცვლილება ფარავს ისეთ თემებს, როგორებიცაა - სათბურის აირები, სათბურის ეფექტი, ატმოსფერო, ჰაერის ცირკულაცია და ა.შ. ცენტრალური ზონიდან აღნიშნული ტრენინგკურსი სკოლამდელი აღზრდის 268 აღმზრდელს/მეთოდისტმა გაიარა. (8 შეხვედრა). 2. პროგრამის „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება სკოლაში“ ცენტრი ატარებს 20 საათიან ტრენინგებს დაწყებითი საფეხურის	10000	3700

								მასწავლებლებისთვის აღნიშნული ტრენინგი მოიცავს 8 გარემოსდაცვით და აგრარულ თემას, მათ შორის „ჰაერის დაცვა და ბინძურებისგან“ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2024 წელს ჩატარდა 10 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 1026 მასწავლებელი. მათ შორის 149 მონაწილე იყო ცენტრალური ზონიდან (5 შეხვედრის ფარგლებში).			
--	--	--	--	--	--	--	--	---	--	--	--